სსიპ ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო

ბამბის რიგი №7
0105 თბილისი, საქართველო
info@anaklia.gov.ge

9/ დეკემბერი/ 2024

N: ADA-69

საქართველოს საკანონმდებლო მაცნეს

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის შესაბამისად, გამოქვეყნების მიზნით, წარმოგიდგენთ სსიპ „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს“ 2024 წლის ანგარიშს, რომელიც მოიცავს შემდეგ ინფორმაციას:

- **საჯარო დაწესებულებაში შესული საჯარო ინფორმაციის გაცემისა და საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნათა რაოდენობა და მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა;**

  სსიპ „ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოში“ (შემდგომში „სააგენტო“) შემოსულია 11 განცხადება საჯარო ინფორმაციის გაცემის შესახებ. აღნიშნული განცხადებების ფარგლებში, მოთხოვნაზე უარის თქმის თაობაზე სააგენტოს მიერ გადაწყვეტილება არ მიღებულა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის მოთხოვნით სააგენტოში განცხადება არ შემოსულა.

- **მოთხოვნის დაკმაყოფილების ან მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ მიღებულ გადაწყვეტილებათა რაოდენობა, გადაწყვეტილების მიმღები საჯარო მოსამსახურის ვინაობა;**

  სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მიღებულია სულ 11 გადაწყვეტილება, მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ - არცერთი. გადაწყვეტილების მიმღები პირი - სააგენტოს დირექტორის მოადგილე, საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასა და ინფორმაციის პროაქტიულ გამოქვეყნებაზე პასუხისმგებელი პირი - ქეთევან გოგუა.

- **საჯარო მონაცემთა ბაზებისა და საჯარო დაწესებულებათა მიერ პერსონალური მონაცემების შეგროვება, დამუშავება, შენახვა და სხვისთვის გადაცემა;**

  სააგენტოში პერსონალური მონაცემების გამოთხოვის შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა.

- **საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზაკ-ის მოთხოვნების დარღვევის რაოდენობა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადება;**

  სააგენტოს საჯარო მოსამსახურეთა მიერ ზაკ-ის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელი პირებისთვის დისციპლინური სახდელების დადების ფაქტს სააგენტოში ადგილი არ ჰქონია;

- **ის საკანონმდებლო აქტები, რომლებსაც საჯარო დაწესებულება ეყრდნობოდა საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმისას;**

  სააგენტოს მხრიდან საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმას არ ჰქონია.

- **საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრება;**

  სააგენტოს მიერ საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა.

- **საჯარო დაწესებულების მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ გადახდილი თანხები.**

  სააგენტოს მიერ ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან, აგრეთვე საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები სააგენტოს არ დაკისრებია.

პატივისცემით,

დავით ჯავახაძე
დირექტორი